06.07.2020 გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც პირველად გამოცხადდა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ დაარსების შესახებ.

1

2.10.2020 გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა

მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

პრეზიდიუმის წევრების შეფასებით საჭიროა მოხდეს იმის გააზრება, ეროვნული უსაფრთხოების ცნების განსაზღვრებასთან მიმართებაში ჩვენ ქვეყანაში არსებული ძირითადი მიდგომები (ჩვენი მკვლევარების პოზიციით), რამდენადაა შესაბამისობაში თანამედროვე წამყვან მსოფლიო წარმოდგენებთან ამ ცნების შინაარსთან მიმართებაში.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გაანალიზდეს ამ ცნების განვითარებაში წამყვანი მსოფლიო ძირითადი ტენდენციები და დასაბუთდეს, რამდენად გამოიყენება იგი ჩვენ ქვეყანაში მისი ყველაზე წამყვანი თანამედროვე მნიშვნელობით, რამაც უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების სუბიექტების შესაბამისი რეაგირება ეროვნული უსაფრთხოების ყველა აუცილებელი ასპექტისადმი-დაწყებული ტრადიციული კომპონენტებიდან თანამედროვე კომპონენტებამდე.

ასოციაციის პრეზიდიუმის შეფასებით ასოციაციის ეგიდით განსაზღვრული პროექტები უნდა ემსახურებოდეს ცნება ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თეორიული წარმოდგენების ევოლუციის გააზრებას. საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების პრობლემატიკის უფრო ფართო გაგება, რომელიც უნდა გამოვიდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტრადიციული წარმოდგენების საზღვრებს **გარეთ და მოხდეს იმ კომპონენტების მნიშვნელობის ზრდაც, რომლებიც მიეკუთვნებიან მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საკითხებს.**



2

28.10.2020 გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე აღინიშნა, რომ ასოციაციის დასახელება განსაზღვრავს მისი საქმიანობის საგანს- ეროვნული უსაფრთხოების თეორიას. შესაბამისად ასოციაციის საქმიანობაში ეროვნული უსაფრთხოების თეორიასთან მიმართებაში ძირითად ამოცანებად პრეზიდიუმმა მიიჩნია:

უსაფრთხოების პრობლემებთან მიმართებაში სამეცნიერო ცოდნის მიმოხილვა, მისი კლასიფიკაცია, მსოფლმხედველობითი საფუძვლების გამოვლენა და ა.შ.ცნება ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თეორიული წარმოდგენების ევოლუციის გააზრება, ეროვნული უსაფრთხოების საერთო თეორიის და მისი მეშვეობით გადაწყვეტადი ამოცანების აუცილებლობისა და შესაძლებლობების დასაბუთება.

სხდომის მონაწილეთა შეფასებით ეროვნული უსაფრთხოების თეორია მიმართულია გადამკვეთი, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტაზე და ფაქტიურად ილუსტრირებას უკეთებს თანამედროვე მეცნიერებაში მიმართულებებისა და სფეროების დაყოფის პირობითობას. სწორედ კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის პრიზმაში განვიხილავს ასოციაცია თავის პროექტებს.

განისაზღვრა, რომ ასოციაციის პროექტების შემაჯამებელი შედეგი უნდა იყოს კვლევები ეროვნული უსაფრთხოების თეორიის კონტექსტში. აღინიშნა, რომ დღეისათვის ასოციაცია საქმიანობს რამდენიმე პროექტზე. ერთ ერთია პროექტი : ,, მეცნიერება უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარებისათვის“



3

26.11.2020 გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა

მიმდინარე წლის 26 ნოემბერს გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე პრეზიდიუმის წევრებმა აღნიშნეს, რომ გლობალური პრობლემების გამწვავებამ, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალურ- პოლიტიკური და ა.შ. პრობლემებით განპირობებული ნეგატიური შედეგების ზრდამ, გამოიწვია ერთის მხრივ მდგრადი განვითარების გზების ძიება, მეორის მხრივ მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი გამოწვევებისა და საფრთხეებიდან გამოსავლის პოვნის აუცილებლობა.

გამომსვლელების შეფასებით ამ ვითარებაში სულ უფრო თვალნათელი ხდება იმის საჭიროება,რომ გამოვლინდეს და დადგინდეს ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება უსაფრთხოებასა და მდგრად განვითარებას შორის. შესაბამისად ჩნდება მოთხოვნილება კვლევებზე ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა უსაფრთხოების პრობლემები მდგრადი განვითარების პრიზმაში და მდგრადი განვითარების საკითხები უსაფრთხოების კონტექსტში. უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით აუცილებელია კომპლექსური ხასიათის კვლევები.

პრეზიდიუმის წევრების შეფასებით ზემოთაღნიშნულს მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ საჭიროა უსაფრთხოების სოციალურ-ფილოსოფიური გააზრება მდგრად განვითარებასთან ურთიერთკავშირის კონტექსტში და იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, რომელიც აჩენს პერსპექტივებს უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთიანი თეორიის შემუშავებისაკენ.



4

29.12.2020 გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა

მიმდინარე წლის 29 დეკემბერს გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა პროექტის “მეცნიერება მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის“ მიმდინარეობა. ასოციაციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა შოთა დოღონაძემ ასოციაციის წევრებს გააცნო პროექტის მიზნები და ამოცანები. აღინიშნა, რომ პროექტი დაიწყო 2020 წლის აგვისტოში და მოიცავს 2 ეტაპს:

პირველი ეტაპია კონკურსი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების გამოსავლენად მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზიციისათვის, უსაფრთხოებისა და განვითარების კონტექსტში.

მომხსენებლის განმარტებით პროექტის „ მეცნიერება მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის” ფარგლებში ჩატარებული კონკურსი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების გამოსავლენად, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ შესწავლილი მასალის ანალიზი, შევაფასოთ და და გამოვკვეთოთ იმ საკითხების წრე, რომლებიც უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთიან კონტექსტში განხილვას ექვემდებარება.

სხდომაზე გამომსვლელთა შეფასებით ამ ეტაპზე მიღებული შედეგებით კვლევები უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთიანი თეორიის შემუშავების კონტექსტში მოითხოვს დამატებით დამუშავებას.

I -ეტაპზე გათვალისწინებულია აგრეთვე უსაფრთხოების თემებზე არსებული ნაშრომების სისტემატიზაცია და ერთიანი ელექტრონული კატალოგის შექმნა.

5

29.01.2021 გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა

მიმდინარე წლის 29 იანვარს გაიმართა „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა პროექტის “მეცნიერება მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის“ მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ საკონკურსო კომისიამ პრაქტიკულად დაასრულა მუშაობა პროექტის ფარგლებში ჩასატარებელ საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომის გამოსავლენ კონკურსზე.

გამოვლინდა საუკეთესო ნაშრომები და დაგეგმილია გამარჯვებული ავტორების დაჯილდოვება საპატიო დიპლომებით.

სხდომაზე აღინიშნა, რომ II-ეტაპზე ასოციაციის ამოცანაა ისეთი კვლევები, სადაც გაანალიზებულია სექიურიტიზაციის პრობლემა და პროცესი უსაფრთხოებისა და განვითარების ურთიერთკავშირის კონტექსტში, აგრეთვე უსაფრთხოების ცნების არსის გააზრების გაფართოვება და გარდაქმნა დისციპლინათშორის-გლობალურ ასპექტებში. პრეზიდიუმის წევრების შეფასებით მდგრადი განვითარების კონცეფცია ერთიან სისტემაში აერთიანებს უსაფრთხოებას და ცივილიზაციურ ცვლილებებს (პროგრესული განვითარება) გარემოს დაცვის პირობებში.მდგრადი განვითარება ფართო გაგებით გვევლინება, როგორც ევოლუციის ყველაზე უსაფრთხო ფორმა (ტიპი), რომელიც ამცირებს მისაღებ დონემდე ნებისმიერ უარყოფით ზემოქმედებას ცივილიზაციასა და ბიოსფეროზე მათი გადარჩენისა და კოევოლუციისათვის. ბევრი ექსპერტის აზრით, მოსალოდნელია, რომ მომავალში უსაფრთხოების სახეობების უმრავლესობა, მათ შორის ეროვნული და გლობალური, უზრუნველყოფილი იქნება არა იმდენად ტრადიციულ უსაფრთხოების ღონისძიებებით, რამდენადაც მდგრადი განვითარების მეშვეობით.